პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

2 სექტემბერი
პარასკევი

1920. ბუხარაში გამოცხადდა საბჭოთა რესპუბლიკა.
1919. ჩიკაგოში შედგა ამერიკის კომპარტიის დამფუძნებელი ყრილობა.
1872. I ინტერნაციონალის კონგრესი ჰააგაში.
1867 I ინტერნაციონალის 3 კონგრესი ლოზანაში.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დღ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

გაზეთის დაბეჭდვა სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4.
ტელეფონი №

დღიური

— გამოცხადებულია ვეტერინარ ექიმთა და ფერშალთა მობილიზაცია.
— პოლონეთში გაიფიცნენ რკინიგზელები, შეჩერებულია რკინის გზის მოძრაობა.
— ინდოეთში ინგლისის მთავრობა თავს უყრის დიდ ძალ ჯარს, ინდოელთა ამბოხების ჩასაქრობად.

№ 150 პარასკევი, 2 სექტემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი პარასკევი, 2 სექტემბერი, 1921 წ. № 150

ჩვენებური კონტრ-რევოლუცია

ბედნიერია წითელი საქართველო, რომ კონტრ-რევოლუცია, ეს მოუსვენარი ჭია ყოველი რევოლუციისა, თავიდანვე კბილმოჭრილია და ისე რიგათ ვერ აწუხებს მას, როგორც სხვა მის მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებს!

რუსეთის დიდმა რევოლუციამ დღემდე, როგორც ვიცით რამდენიმე ძლიერი და საფუძვლიანი შემრყევი კონტრ-რევოლუციური მძაფრი ქარიშხალი განიცადა; არც აზერბეიჯანს და არც სომხეთს არ აშორდა ის. საქართველო კი ასეთი სახის ქარტეხილისაგან დღემდე თავისუფალია.

განვითარებული რევოლუცია და მისი თანამხლებელი კონტრ-რევოლუცია; ეს იგივე სამოქალაქო ომია. რით აიხსნება, რომ ეს სამოქალაქო ომი ჩვენ დღემდე იმ სახით მაინც, როგორც ეს სხვა ქვეყნებში მოხდა, თავიდან აგვშორდა?

ამას მაზეზი ჩვენ ერთი მხრით ჩვენებური კლასობრივი ბრძოლის განუვითარებლობაში უნდა ვეძიოთ, რაც საფუძველია სისუსტის როგორც რევოლუციის ისე კონტრ-რევოლუციისაც; ხოლო მეორე მხრით ჩვენი ხალხის განსაკუთრებულ ისტორიულ პირობებში.

მენშევიკები ჩვენში მთელი ათეული წლები მეთაურობდნენ და ხელმძღვანელობდნენ ჩვენებურ სახალხო მოძრაობას—მუშათა მოძრაობას და მათ იცოდნენ ჩვენი ხალხის სულისკვეთება, იცოდნენ, რომ ისე რიგათ ვერ ეწყობა სამოქალაქო ომი; ეს მოვლენა მასში არც ტრადიციულათ, არც ისტორიულათ არ არის განმტკიცებული. ქართველი ხალხი მუდამ ლოიალური მებრძოლი იყო. გარეშე მტრებთან ომში, მაგრამ შინაურ სამოქალაქო ომში იგი ყოველთვის სუსტობდა. სუსტობდა იმ დროსაც, როცა ფეოდალურ ხანაში წოდებრივმა ანტაგონიზმმა უმაღლეს წერტილს, უკიდურესობას მიაღწია.

კიდევ უარესი: ქართველი ხალხი „ნაციონალისტურ ომში, აჯანყებაში“ რუსეთის ძველი თვითმპყრობელურ მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში უფრო ადვილათ იქნა ჩათრეული მისივე მტარვალ ფეოდალების მიერ, ვიდრე მისი სახალხო გმირების და წინამძღოლების მეთაურობით ამ მტარვალების წინააღმდეგ ბრძოლაში.

[illegible] ეს კარგათ იცოდნენ ჩვენმა მენშევიკებმა და კიდეც აუღეს ალღო ჩვენს ხალხს: ისინი მუდამ სამოქალაქო ომის წინააღმდეგ უქადაგებდნენ მას. მათდა სასახელოთ უნდა ითქვას, რომ მათ არ სწამდათ ეს სამოქალაქო ომი არც,—როგორც რევოლუცია და არც,—როგორც კონტრ-რევოლუცია. მათ ერთ დროს უფრო სწამდათ „უსისხლო რევოლუცია“ და უნდა ვიფიქროთ, რომ ახლა კონტრ-რევოლუციაც აგრეთვე „უსისხლო“ სწამთ. მხოლოთ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ჩვენებურმა კონტრ-რევოლუციამ მხოლოდ ჭორების, უფხო, უნიადაგო, უაზრო აგიტაციის და ინსინუაციების სახე მიიღო. ეს შინ, ხოლო გარეთ, უცხოეთში, სადაც ისინი წითელი არმიის შიშით გადახვეწენ, გარდა დიდ და წვრილ სახელმწიფოების მთავრობებთან ხვეწნა მუდარისა, ალიარებულ „დამოუკიდებლობის“ მათ მიერვე უარყოფისა და თავისი თავის განდიდება გაზვიადებისა, უაზრო ფუფუნისა და ბაქიობისა, ვერა მოუგონიათ რა.

განა ყოველივე ამას არ მოწმობს, გუშინ ჩვენს გაზეთში მოთავსებული, შვეიცარიის ფედერატიული რესპუბლიკას თბილისელი ელჩის განცხადება?

ან კიდევ ჩვენებური, ცნობილი მოკრივე გმირი მენშევიკის, ერთ დროს „ქალაქის თავათ“ გამოცხადებულ ბენიას შემდეგი სიტყვები, რომლებიც მას ფრანგულ ბურჟუაზიულ გაზეთ „ტან“ ის 11 აგვისტოს №-ში მოუთავსებია, რა თქმა უნდა ბრიანის თანხმობითა და ლოცვა-კურთხევით:

„იმ დროს, როდესაც უფლება მოსილი მთავრობა (მენშევიკური მისი აზრით), არჩეული ოთხფორმულიანი სისტემით საზღვარ გარეთ იმყოფება (თუ დაძრწის?), საქართველოში ძალა-უფლება უკავია ისეთ მთავრობას“... და კიდევ ქვევით: „წითელი არმია ხალხს ართმევს უკანასკნელ ლუკმას“... „საშინელ პირობებშია ქართველი ინტელიგენცია“..

„საქართველოში ხალხს მოედო ავადმყოფობა: ხოლერიანი ავათმყოფები ქუჩაში ჰყრია და საშუალება არაა იქიდან აკრიფონ“... აი ასე სწერენ ჩვენებური კონტრ-რევოლუციონერი მენშევიკები ევროპიულ რეაქციონურ პრესაში და ასე ლამაზათ გვაბეზღებენ „დიდ სახელმწიფოების“ მთავრობებთან. მათ საბუთათ მხოლოდ ის მოჰყავთ, რომ ისინი „ოთხფორმულიანი სისტემით“ არიან არჩეულნი და ის კი ავიწყდებათ ამ უბადრუკებს, რომ ნაპოლეონ მესამე კიდევ უფრო უკეთესი სისტემით იყო არჩეული საფრანგეთში იმპერატორათ.

განა იმავე სისტემის არჩევნების ძალით არ ლამობდა რამდენიმე წლის წინათ ძველი ოსმალეთის მთავრობა თავის სამფლობელოთ დაეჩემებინა აჭარა, რის სასტიკნი წინააღმდეგნი [illegible] ისინი!

მაგრამ ეს ხომ მართლა და მათი „უფლება მოსილობის“ ხანაში იყო? და ახლა კი, როცა ნამდვილათ ისინი მხოლოდ სამშობლოდან გაძევებულ მოღალატე სოციალისტების სახელს ატარებენ, მათ რაიმე უფლებაზე ლაპარაკის კი არა, თავისი ფიზიკური არსებობისაც უნდა რცხვენოდეთ.

მაგრამ, როგორც ხედავთ, საქართველოს ისტორიის ჩარხის ტრიალს, ჩვენებურ კონტრ-რევოლუციონერებს არა თუ ბრძოლის უნარი, არამედ სირცხვილის ნიჭიც კი წაერთვათ.

კოოპერაცია და სასურსათო ორგანოები

საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიური პოლიტიკა ჯერაც ვერ გაუგია ბევრს. განსაკუთრებით უძნელდებათ ეს იმ პირებს, რომლებიც ან სრულიად არ იცნობენ ან და ცუდათ იცნობენ ეკონომიურ ცხოვრების ვითარებას და აგებულებას. რაკი რუსეთში და განსაკუთრებით საქართველოში სახალხო მეურნეობაში წვრილ მეურნეობათა რიცხვი გაცილებით სჭარბობს მეურნეობის სხვა სახეებს, ამიტომ ქალაქსა და სოფელ შუა ნორმალურ ურთიერთობათა დამყარების შესახებ მხოლოდ საქონლის გაცვლა-გამოცვლის გზით ლაპარაკიც არ შეიძლება. ქალაქის პროლეტარიატი რუსეთში და საქართველოში განსაკუთრებით, ვერ მისცემს სოფელს ერთ მესამედსაც კი იმისას, რაც მისთვის საჭიროა და რაც მან უნდა მიიღოს სოფლის მწარმოებლებისაგან, ამიტომ აქამდის გაბატონებული პოლიტიკა საბჭოთა იყო პროლეტარიატის გამწვავებულ ბრძოლის დროის, რომელსაც იგი აწარმოებდა მმართველობის საბჭოთა სისტემის განამტკიცებლათ და თავის პოლიტიკურ ბატონობის გასამტკიცებლად. ეს ბრძოლა გამარჯვებით დამთავრდა, მდგომარეობა შეიცვალა და მაშასადამე მუშა კლასსაც უნდა შეეცვალა თავისი ეკონომიური პოლიტიკა. რაში მდგომარეობს ახალი ეკონომიური კურსის შინაარსი?

მსხვილი სამრეწველო წარმოება მუშა-გლეხთა ხელისუფლების ხელში რჩება. მსხვილ მწარმოებლებს ეძლევათ საწარმოო ძალის განვითარების საქმეში რაიმე ინიციატივის გამოჩენის შესაძლებლობა, სხვანაირად რომ ვსთქვათ: მსხვილი წარმოების ნაციონალიზაცია, გლეხისათვის ადგილობრივ აღებ-მიცემობის თავისუფლების განხორციელება, წვრილი ვაჭრობისა და წარმოების თავისუფლება და კონცესიებისგან სარგებლობის მექანიზმის მიღება—აი ეს არის მოკლეთ ახალი ეკონომიური პოლიტიკის კურსი.

რაც უნდა ძლიერი არ იყოს კომუნისტური პარტია, ის მაინც უსათუოდ დამარცხდება კაპიტალისტურ საზოგადოების გარდაქმნის თვის ბრძოლაში, თუ თითონ ცხოვრების წინააღმდეგ წავიდა. საბჭოთა რესპუბლიკებში ჯერ არ არის განვითარებული მსხვილი წარმოება და დასავლეთ-ევროპაში კი გაბატონებულია ბურჟუაზია—ასეთ პირობებში მუშათა კლასს არ შეუძლია სათანადოთ მოაწესრიგოს ქალაქსა და სოფელს შორის პროდუქტების გაცვლა-გამოცვლა. მეორე მხრივ შეუძლებელია რუსეთში გლეხთა სახელმწიფოს აგება, მხოლოდ ფულის ურთიერთობათა ნიადაგზე. ცხადია, რომ ჩვენ განვიცდით ძველი საზოგადოების ნგრევის და ახალ ფორმების შექმნის პროცესს. მაგრამ ამა თუ იმ მიზეზის გამო ეს პროცესი ხანგრძლივდება. მდგომარეობიდან გამოსავლელათ საჭიროა ისეთი პოლიტიკის გამომუშავება, რომელსაც შეეძლება მოჰყვეს ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარება. ჩვენს პირობებში. საწარმოო ძალთა განვითარება შეიძლება მხოლოდ რასაკვირველია ამ სიტყვის არა ბურჟუაზიული მნიშვნელობით—კაპიტალიზმის განვითარებით.

ამხანაგი ლენინი გვიძლევს ჩვენ ამ სფეროში მუშაობის სქემას—არსებობენ კაპიტალიზმის სხვა და სხვა სახეები: სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის სხვა და სხვა სახეები: სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი, კოოპერატიული კაპიტალიზმი, სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი კონცესიების სახით და სხვა. ცხადია, რომ ჩვენ ვერ ავცდებით კაპიტალიზმის განვითარებას.

მაგრამ რა განსხვავებაა საბჭოთა ხელისუფლების დროს არსებულ სახელმწიფო კაპიტალიზმსა და იმ კაპიტალიზმს შორის, რომელიც ბურჟუაზიის პოლიტიკურ ბატონობის დროს არსებობს. განსხვავება იმაშია, რომ მუშა-გლეხთა ხელისუფლება ამ შემთხვევაში გამოდის როგორც ბურჟუაზიის საუკეთესო კონკურენტი, საუკეთესო მოწინააღმდეგე, რადგანაც იგი ართმევს მას არა მარტო პოლიტიკურ არამედ ეკონომიურ ბატონობასაც, იმის მაგიერ რომ ქართველ მენშევიკებს მისცეს მას სრული თავისუფლება, იგი თვითონ იღებს თავის ხელში კაპიტალიზმის განვითარების საქმეს და მას განაგებს ისე, როგორც ეს უფრო სასარგებლოა პროლეტარიატისათვის და არა ბურჟუაზიისათვის.

ცუდი არ იქნებოდა, რომ ჩვენმა კომუნისტებმა ნათლად წარმოიდგინონ და გაითვალისწინონ ეს ძირითადი ჭეშმარიტება.

სხვა საქმეა წვრილი ვაჭრობისთვის და წვრილი წარმოებისათვის ერთგვარი თავისუფლების მიცემა. თუ ჩვენ დავადგებოდით წვრილი ვაჭრობის და წარმოების განადგურების გზას, ჩვენ გამოუსვლელ მდგომარეობაში ჩავცვივდებოდით; ვაჭრობის ყოველივე სახის ხელთაღება ამ ჟამათ აბსოლიუტურათ შეუძლებელია, ეს დაგვასუსტებდა ჩვენ და მშრომელთა მასების თვალში დასცემდა ჩვენი პარტიის ავტორიტეტს. ორგანიზაციის ზეიდან ძალით დაპყრობა ძლიერ ადვილი საქმეა, მაგრამ ძნელია მისი ისეთი წარმართვა, რომ იგი არ განადგურდეს. ზოგიერთი ფიქრობენ მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას წვრილი ვაჭრობის მოსპობით. ისინი ამბობენ—მუშები შიმშილობენ და ამავე დროს სპეკულიანტები სარგებლობენ რა მით და თავისუფლებით, თავის ჯიბეებს ივსებენ. ამას ლაპარაკობენ როგორც კომუნისტები, ისე მენშევიკები, რომლებიც უცებ ძლიერ გამემარცხენდნენ და თითქმის ყველა მიტინგებზე ვაჭრობის თავისუფლების წინააღმდეგ გამოდიან. მენშევიკების ასეთი გამემარცხენების მიზეზი ყველასათვის ცხადია: მათ კარგათ ესმით, რომ კერძო ვაჭრობის მოსპობა მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დასუსტებას ნიშნავს და მათ სწორედ ეს უნდათ. რაც შეეხება იმ პარტიულ ამხანაგებს, რომლებიც ვერ შერიგებიან წვრილ ვაჭრობას, მათ შესახებ უნდა ითქვას, რომ ისინი ძლიერ ცუდათ ერკვევიან საბჭოთა რესპუბლიკების ახალ ეკონომიურ პოლიტიკაში. დროა გაიგონ მათ, რომ მხოლოდ შევიწროება არ მოგვცემს გამარჯვებას. სპეკულიაცია რომ იზრდება, ამაში ეჭვი არავის არ ეპარება, რომ სპეკულიაციას ბოლო უნდა მოეღოს ესეც ანბანური ჭეშმარიტებაა, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ ჩვენ ვერასოდეს ვერ ამოვფხვრით სპეკულიაციას წვრილი ვაჭრობის ზევიდან აკრძალვის გზით. ბოლოს და ბოლოს წვრილი ვაჭრობა არც თუ ისე საშინელია. ამხ. ლენინი ამბობს: „დავტოვებთ რა პროლეტარიატის ხელში ტრანსპორტს, დიდ ქარხნებს, პოლიტიკურ ძალა უფლებასთან ერთად ეკონომიურ სფეროშიაც ჩვენ საკმაო გასაქანი უნდა მივცეთ გლეხობასაც, როგორც წვრილ მწარმოებელს. თუ არ განვითარდა გლეხური მეურნეობა ჩვენ ისე ვერ შევძლებთ სასურსათო საკითხის მოგვარებას. აი რა ფარგლებში უნდა დავსვათ ჩვენ საკითხი წვრილი წარმოების განვითარების შესახებ და ვაჭრობის თავისუფლების, აღებ-მიცემობის თავისუფლების ნიადაგზე დასაყენებლათ. ეს აღებ-მიცემობის თავისუფლება არის საშუალება, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს შევქმნათ მუშათა კლასის და გლეხობის შორის ისეთი ურთიერთობა, რომ იგი ეკონომიურად მტკიცე იყვეს“.

აქედან ცხადია, რომ ჩვენ ვაჭრობის თავისუფლების ხელშეუხებლად დაცვას გვკარნახობს მიმდინარე მომენტი. ამ თავისუფლების ყოველივე არა სასურველი შედეგები მაშინ მოისპობა, როცა კერძო ვაჭრობა საზოგადოებრივი გაცვლა-გამოცვლით შეიცვლება. ამისათვის საჭიროა გამოცდილება, რომელიც ჩვენ სამწუხაროდ არა გვაქვს. ჩვენ უნდა ჩავატაროთ უზარმაზარი საორგანიზაციო სამუშაო, უნდა ჩავერიოთ ამ საქმეში და საზოგადო საქმეებით დავაინტერესოთ მცხოვრებთა ფართო მასები. ჯერ-ჯერობით კი ცხადია, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ყველა არსებული საზოგადოებრივი აპარატები, რომელთა რიცხვიც საქართველოში არ არის მცირე.

საკმაოდ მნიშვნელოვან აპარატს წარმოადგენს კოოპერაცია; [illegible] მოითხოვს რომ იგი არამც თუ არ შევავიწროოთ, არამედ ყოველმხრივად ხელი უნდა შევუწყოთ მის განვითარებას. სულ საქართველოში ითვლება 891 კოოპერატიული საზოგადოება, თუ საკრედიტო ამხანაგობებს არ ჩავთვლით. ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთა 95 პროც. თავის სურვილისდა მიხედვით ჩაბმულია კოოპერატიულ აღმშენებლობის საქმეში.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საქართველოში კოოპერაციამ იწყო განვითარება რუსეთის თვითმპყრობელობის დაცემის შემდეგ 1917 წელს. სოფლელებმა იწყეს სოფლებიდან გაძევება არა მარტო მეფის ბოქაულებისა და სტრაჟნიკებისა, არამედ მათ გაძევეს მედუქნეებიც, რომელთა ადგილიც კოოპერატორებმა დაიკავეს. აქედან ცხადია, რომ საქართველოს გლეხობა არ ურიგდებოდა არა მარტო თვითმპყრობელობას, არამედ ამ თვითმპყრობელობის რეჟიმის ეკონომიურ შინაარსსაც. ასეთი სულიერი განწყობილება არ იქმნა გაგებული და სათანადოთ გამოყენებული მენშევიკური მთავრობის მიერ, იმიტომ რომ ამ პარტიის ხელმძღვანელნი გატაცებული იყვნენ სურვილით მიეცათ ქართველ ბურჟუაზიისათვის თავისუფლების მაქსიმუმი მუშათა და გლეხთა გაყვლეფის საქმეში. მათ დაწესებულებებში ჯდომა და მაღალ მატერიებზე ლაპარაკი ამჯობინეს საზოგადოების კაპიტალისტურ სოციალისტურ გარდაქმნას. მათ ბატონობის დროს კოოპერაციაც ვერ ვითარდებოდა.

ა. ერქომაიშვილი.

(შემდეგი იქნება)

კაპიტალიზმის სამეფოებში

გერმანია.

ჰერცბერგერის მოკვლა.

ჰერცბერგერის მოკვლის გამო ექვს მიტინგი [illegible] 4 ბერლინში და 2 ბერლინის მიდამოებში.

გერმანიის მდგომარეობა.

ნაუენი. 31 აგვისტო. (რადიო). გერმანიის მოსამსახურეთა კავშირმა მუშათა კავშირის დელეგაციასთან ერთად, რომელიც აერთებს 11 მილიონ წევრებს, ინახულეს კანცლერი ვირტი და აღუთქვეს მას თავისი დახმარება. თავის მხრით მუშებმა და მოსამსახურეებმა მოსთხოვეს მას, მიღებული იქმნას ყველა ზომები შინაგანი წესრიგის დასაცველად რესპუბლიკაში და განსაკუთრებით პოლიტიკურ მკვლელთა წინააღმდეგ. მსგავსი მოთხოვნილება წარუდგინეს გერმანიის მთავრობას დამოუკიდებელთა და სოციალისტური უმრავლესობის წარმომადგენლებმა. ვირტმა განაცხადა, რომ ის ამ პირობას ღებულობს.

— გერმანიის მთავრობის მიერ გამოქვეყნებულია ოფიციალური უწყება, რომელშიაც ნათქვამია, რომ წესრიგის დარღვევისათვის მისგან იქნება მიღებული სასტიკი ზომები. ამ ოფიციალურმა განცხადებამ გამოიწვია პრესის მოწონება, რომელიც აღნიშნავს, რომ რეპრესიული ზომების მიღება მთავრობის მიერ გამოწვეულია თვითდაცვის საჭიროებით და არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. მემარჯვენე პრესა მღელვარებით აცხადებს, რომ მემარჯვენე ჯგუფებს [illegible] არა ქონიათ [illegible] ამ მოხდენა და არც არავითარ აგიტაციას არ აწარმოებდენო.

— გერმანელ კათოლიკების თათბირმა ფრანკფურტში გამოიტანა რეზოლუცია, რომ ის მთელ ძალღონით დაეხმარება გერმანიის ეკონომიურად აღდგენას.

ამბოხება უნგრეთში.

ნაუენი. 31 აგვ. (რადიო). ეძენბურგის და ბურგენლანდის მიდამოებში დასავლეთ უნგრეთში ამბოხებამ იფეთქა. მეამბოხეებს იერიში მიაქვთ აღნიშნულ ორ ქალაქზე. დასავლეთ უნგრეთში გამოცხადებულია სამხედრო მდგომარეობა.

პოლონეთი.

რევოლუციონური მოძრაობა პოლონეთში

რიგა. 25 აგვ. (რადიო). რკინისგზელების კავშირის მიერ დადგენილია დაიწყონ გაფიცვა, თუ მათი ეკონომიური მოთხოვნილებანი არ იქნება დაკმაყოფილებული მთავრობის მიერ. პოზნანისა და პომერანიის საზღვრებში შეჩერებულია ყოველგვარი მოძრაობა რკინის გზებზე. მთავრობის მიერ მიღებულია სასწრაფო ზომები სამგზავრო და საბარგო მოძრაობის მოსაწესრიგებლათ. მოელიან ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა გაფიცვას.

ინდოეთი.

სამხრეთ ინდოეთში.

რომი. 31 აგვ. (რადიო). ინგლისის მთავრობა მნიშვნელოვან ძალებს აგროვებს სამხრეთ ინდოეთში. გადაწყვეტილია სასტიკათ დაახჩონ მუსულმანთა ამბოხება ინდოეთში.

ავსტრია.

მდგომარეობა ავსტრიაში.

ნაუენი, 31 აგვ. (რადიო). ავსტრიის მთავრობამ ანტანტის წინაშე მედგარი პროტესტი განაცხადა შესახებ იმისა, რომ ანტანტამ ფაქტიურად დააუძლურა ავსტრია. ავსტრიის მთავრობა მოითხოვს დაუყოვნებლივ გამოგზავნილი იქმნას მოკავშირეთა ჯარი ავსტრიაში. ნახევრად ოფიციალური ცნობებით ავსტრიაში გაგზავნილი იქნება მოკავშირეთა ჯარი ზემო-სილეზიიდან.

იტალიის გერმანიის ეკონომიური შეთანხმება

ბერლინი, 31 აგვის. (რადიო). 30 აგვისტოს ბერლინში დაიდვა იტალიის გერმანიის ხელშეკრულება იმპორტის და ექსპორტის საკითხში.

განიარაღების საკითხი.

ლონდონი. თემთა პალატაში დაწვრილებით განხილული იყო საკითხი განიარაღებისა, წარსადგენი 11 ნოემბერს ვაშინგტონის კონფერენციაზე. ერთი პალატის წევრთაგანის მიერ მოცემული იყო შეკითხვა უნდა აწარმოებდეს თუ არა ახალი ჯავშნიანები თანახმათ ახალი გემთა-მშენებლობის პროგრამისა. ლოიდ ჯორჯმა უპასუხა, რომ მთავრობამ უნდა შეასრულოს მიღებული პროგრამა მით უმეტეს, როცა ამ შემთხვევაში სახეში მიიღება ძველი კონსტრუქციის ჯავშნოსნების შეცვლა შეიარაღების ახალ სისტემით. ბალფურმა, რომელმაც განავითარა სიტყვა ლოიდ ჯორჯისა, აღნიშნა, რომ მიუხედავათ კონფერენციის შედეგებისა ზღვის [illegible] მიერ შესრულებული უნდა იქნეს საზღვაო შეიარაღების პროგრამა, რომლისათვის გადადებულია 28 მილიონი გირვანქა სტერლინგი.

ლოიდ ჯორჯმა [illegible] ხაზი გაუსვა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, ვაშინგტონის კონფერენცია თუნდაც სრული წარმატებით რომ დასრულდეს ინგლისის მთავრობა ვალდებულია შეასრულოს თავისი პირობა და დავალებანი, რომელიც დამტკიცებულია საკანონმდებლო პალატის მიერ.

ამერიკული პრესა აღნიშნავს, რომ ეხლა ამერიკელ ტყვეების განთავისუფლებასთან დაკავშირებით რუსეთში, დროულია წამოყენება კითხვისა რუსეთის საბჭოთა მთავრობის დაშვების შესახებ იმ სახელმწიფოთა შემადგენლობაში, რომელნიც მოწვეული არიან ვაშინგტონის კონფერენციაზე.

ინგლისი და ირლანდია.

რომი. 30 აგვ. (რადიო) ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ ბრიტანეთის მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს ირლანდიასთან შეთანხმებისათვის. დიდი ბრიტანეთი გამოდის რა გეოგრაფიულ და პოლიტიკურ მოსაზრებიდან, ვერ დათანხმდება ირლანდიის სრულ ჩამოშორებაზე, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური მხრით. დასასრულს ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ ის მზათ არის კვლავ შეხვდეს დე-ვალერას და მის ამხანაგებს, თუ ისინი თანახმა იქნებიან განიხილონ ბრიტანეთის წინადადებანი.

ბერძნების გადასახლება.

კონსტანტინოპოლი. 30 აგვ. (რადიო). ადგილობრივი პრესა იტყობინება, რომ ლონდონის დიპლომატიურ წრეებში შეიქმნა ანგორისათვის მეტად არა სასურველი განწყობილება, რომელიც გამოწვეულია ბერძნების იძულებითი გადასახლებით სამსუნიდან და ტრაპიზონიდან. ძალმომრეობითი პოლიტიკას ბერძნების მიმართ აქვს სისტემატიური ხასიათი, რაც ამტკიცებს ანგორის უკიდურესების გამარჯვებას. ამასთან ერთათ ინგლისი გამოთქვამს აღშფოთებას იმის გამო, რომ ანგორის მთავრობას, მიუხედავათ თავის დაპირებისა, დღემდე არ განუთავისუფლებია ტყვე ინგლისელები, განთავისუფლებულია მხოლოდ 4 კაცი, მაშინ, როდესაც ინგლისის მთავრობამ განათავისუფლა გაცილებით მეტი ოსმალო ტყვეები.

ესქი-შეხირში.

ლონდონი. 30 აგვ. (რადიო) ათინიდან მიღებულ დეპეშათა ცნობებით ესქი-შეხირში გაჩნდა დიდი ცეცხლი. ესქი-შეხირში იმყოფება მეფე კონსტანტინეს შტაბი. ქალაქის დიდი ნაწილი დანგრეულია.

კომინტერნის მესამე კონგრესი

სხდომა მეცხრე (29 ივნისი)

(გაგრძელება იხ. „კომ.“ № 143)

ამხ. ტროცკი.—მე არ მოვყვები აქ იტალიის პარტიის ისტორიას. მე შევჩერდები მხოლოთ დღევანდელი მდგომარეობის ანალიზზე. პარტია გარეგნულათ აწარმოებდა რევოლიუციონურ პროპაგანდას, მაგრამ არ ფიქრობდა სერიოზულათ შედეგებზე. ამან მოგვცა განსაზღვრული შედეგები. სექტემბრის ამბები ამ პროპაგანდის ნაყოფია. რაღა ქნა იტალიის პარტიამ, როდესაც მუშებმა შეითვისეს მის რევოლიუციონური პროპაგანდა და გააკეთეს იქიდან სერიოზული პრაქტიკული დასკვნები. მან ზურგი შეაქცია მათ. მან უარი თქვა ამ მოძრაობის ხელმძღვანელობაზე, ან და არ ქონებია არავითარი ორიენტიროვკა. ამით მან ანულირება უყო მთელი თავისი ნამუშევარის შედეგს. მუშები უნდობლობით უნდა გამსჭვალულიყვნენ პარტიულ პროპაგანდისადმი, და ტურატიმაც ეს დიდებულად გამოიყენა. მას შეეძლება ქონდა მიეთითებინა მუშებისათვის, რომ რევოლიუციონურ პროპაგანდას არ მიეყვანეთ კარგ შედეგებამდე. თქვენ დაიჯერეთ და საქმით კი ხელები დაიწვით, მაშასადამე რევოლიუციონური პროპაგანდა არ უნდა იწამოთო. ასეთია სექტემბრის ამბების კონკრეტიული აზრი. წარსულში, თქვენ გქონდათ მხოლოთ ვებერთელა რევოლიუციონური ფრაზეოლოგია, რომელიც აღმოჩნდა საქმით არა სერიოზული. თქვენ დეზორგანიზაცია შეიტანეთ მუშათა კლასში, ვინაიდან უარი თქვით პროპაგანდაზე, როდესაც ის ხორცს ისხამდა ცხოვრებაში.

სერატი მუდამ იცავდა ძალთა კონცენტრაციის იდეას. მას სურდა შეექმნა ისეთი პარტია, რომელშიც ერთდროიმავე დროს იქნებოდენ რეფორმისტებიც, ცენტრისტებიც და კომუნისტებიც. ამ იდეიას აყენებდა ის რევოლიუციის ერთობის გულისათვის, მისი წარმატებითი მსვლელობის გულისათვის. მაგრამ შესაძლებელია კი რევოლიუციის გულისათვის ისეთი ძალებისა და ელემენტების კონცენტრაცია, რომლებიც მოკლებული არიან ყოველგვარი რევოლიუციონური მუშაობის აუცილებელ წინასწარ პირობებს — რევოლიუციის მოხდენის სურვილებს. თქვენ ხომ სერიოზულათ არ შეგიძლიათ დაამტკიცოთ, რომ ტურატს სურს რევოლიუცია იმ დროს, როდესაც ის თვითონ სწერს და ლაპარაკობს წინააღმდეგს. საქმით ძალთა კონცენტრაციის მაგივრათ ამგვარმა იდეამ მიგვიყვანა სრულიად საწინააღმდეგო შედეგამდე. თქვენ დაუკარგეთ ნდობა მუშათა კლასს პარტიისადმი, რევოლიუციონურ პროპაგანდისადმი, იმისადმი, რომ მას მართლაც სურს რევოლიუცია. და ახლა იტალიის ახალ გაზრდა კომუნისტურ პარტიას დიდი და ენერგიული მუშაობა დასჭირდება, რათა მოიპოვოს იტალიის მუშათა კლასის ნდობა. ძალთა კონცენტრაციის მაგივრათ რევოლიუციის გულისათვის, მთელი პარტია ლივორნოს შემდეგ გადიხარა მარჯვენივ [illegible]. თქვენსა და მუშათა კლასს შორის გაჩნდა ცარიელი სივრცე, რომელშიაც შეიჭრნენ ახლა ფაშისტები.

თქვენ ამბობთ, რომ ტურატი ემორჩილება პარტიულ დისციპლინას. მაგრამ დისციპლინაზე დამორჩილება ხშირათ ფორმალურია. ჩვენც, კომუნისტებიც, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ვემორჩილებით ბურჟუაზიულ საზოგადოების კანონიერებას, მაგრამ კიდევაც ვებრძვით მას, ვქმნით საკუთარ არა ლეგალურ ორგანიზაციებს და ვცდილობთ მოვსპოთ ის. სწორეთ ასევე ტურატიც ემორჩილება დისციპლინას თქვენთან პარტიაში. ისიც ქმნის აგრეთვე საკუთარ არალეგალურ ორგანიზაციებს, იწვევს თავის ფრაქციის რეჯიო-ემილიაში, აწარმოებს მოლაპარაკებს მინისტრებთან, დაგცინის თქვენ და მით არღვევს დისციპლინას.

ლადზარი მოითხოვს ფაქტებს, ამბობს რა, რომ ლაპარაკია მხოლოთ ტენდენციებზე და იდეებზეო. დავუშვათ, რომ ამხ. ლადზარისთვის საჭირო ფაქტები იქნება, და ტურატის შესთავაზებენ სამინისტრო პორტფელს. ტურატი არაა შაბლონური კარიერისტი, და ამ წინადადებაზე უეჭველათ უპასუხებს ჯიოლიტის—„განა არ გაგიგონიათ, რომ ლადზარის ესაჭიროება ფაქტები ჩემს წინააღმდეგ. სამინისტროში ჩემი შესვლა ფაქტი იქნება პარტიიდან ჩემი გაძევებისათვის. არ მინდა მე პორტფელი, მე უკეთესათ დავრჩები პარტიაში და მის რიგებში ვემსახურები დემოკრატიას“, ე. ი. ბურჟუაზიას, ტურატი ჭკვიანი და გამობრძმედილი პოლიტიკია, და სრულიადაც არაა შემთხვევითი ფიგურა, რომელსაც არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმ პარტიისთვის, რომლის წრეშიც ის იმყოფება.

თქვენ ამბობდით აქ, როდესაც მოგყავდათ ციტატები იქიდან, თუ რას სწერდა და ამბობდა ტურატი, რომ ეს მისი პირადი ქცევაა, რომელიც სრულიადაც არ შეეხება პარტიას. წარმოიდგინეთ ახლა, რომ ამავე წუთში, როდესაც ჩვენ აქ ვიმყოფებით, ჯიოლიტი ტელეფონით დაუყოვნებლათ ეკითხება ტურატის, რომ საშიში ხომ არაა, რომ ლადზარი წავიდა მოსკოვს, ხომ არ შეუთანხმდება ის იქ მათ,—და ტურატიც უპასუხებს, რომ ეს ლადზარის პირადი ქცევაა, რომ პარტია მის მაგივრათ პასუხს არ აგებსო. თქვენ მშვენივრათ გესმით, რომ ჯიოლიტი არაა იმდენათ სულელი, რომ სერიოზულათ მიიღოს ასეთი განცხადება. მაშ რატომ ცდილობთ თქვენ დაგვარწმუნოთ, რომ თქვენ პარტიისათვის არ აქვს მნიშვნელობა ყველა იმას, რასაც ლაპარაკობს და აკეთებს ტურატი. ლადზარი ამბობს, რომ მეტად ბევრს ლაპარაკობენ ტურატიზე. რომ ტურატის არ აქვს ასეთი მნიშვნელობაო. მაგრამ მაშინ რატომ ცდილობთ კომინტერნს იმის გულისათვის?

თქვენ ლაპარაკობდით [illegible] საბჭოთა რუსეთისა და იმით, რაც აქ გაკეთებულია კომპარტიის მიერ. ეს ძალიან სათუთი თემაა. მე ვლაპარაკობ აქ არა მარტო თქვენზე, არამედ ყველა უცხოელებზედაც, რომლებიც ეწვევიან საბჭოთა რუსეთს, როგორც ფიქრობს, დელიკატურ საგანს, რომელიც შეიძლება გატყდეს, ჩვენ თქვენთან არაფერს არ ვმალავთ. თქვენ ნახეთ სამხედრო აღლუმი წითელ მოედანზე. თქვენს წინ გაიარეს კარგათ ჩაცმულმა წითელ-არმიელებმა, შეიარაღებულმა მუშებმა, რომლებიც მზად არიან ბრძოლისათვის, მაგრამ მასთან ერთად თქვენ ნახეთ ჩვენი ახალგაზრდები, ნახევრად დამშეულები, უმეტეს ნაწილათ ფეხშიშველები. მძიმეა ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა. ვინც ფიქრობს, რომ საბჭოთა რუსეთში ჩამოსვლისას ნახავს აქ სამოთხის ნამცეცს მაინც და აქ შეადგენს თავის შთაბეჭდილებიდან კომუნიზმის რეკლამას და იმედები გაუცრუვდება, როდესაც ნახავს ჩვენს სილატაკეს, ის არაა ნამდვილი კომუნისტი. ხოლო ის კი, ვინც გამოიყენებს ამას ჩვენს წინააღმდეგ, ის ჩვენი აშკარა მტერია. სწორეთ ასევე იქცევა ტურატიც. ის ამბობს, რომ საბჭოთა რუსეთმა ინტერნაციონალის სახით მოიპოვა იარაღი, რომლის დახმარებითაც სურს მას გამოიწვიოს ყოველგან რევოლიუცია თავის გადასარჩენათ. რასაკვირველია, ჩვენ ყველას გვსურს, რომ ყოველგან მოხდეს რევოლიუცია. მაგრამ ის, რასაც ამბობს ტურატი ჩვენს შესახებ, მეტის მეტად ბრაზმორეული ცილის წამება ჩვენი მტრების, ვინაიდან ჩვენ რომ გვდომებოდა რევოლიუციის მოხდენა თქვენში თქვენი პირობებისათვის ანგარიშის გაუწევლათ, მხოლოთ იმისთვის, რომ გადაგვერჩინა ჩვენი თავი, ჩვენ ვიქნებოდით დახვრეტის ღირსი. როგორ გინდათ თქვენ, რომ ჯალათი და მისი მსხვერპლი ერთ და იმავე ინტერნაციონალში იყვნენ. ჩვენ დავასვით ღარიბ, ჩამორჩენილ რუსეთში საერთაშორისო რევოლიუციის დიდი სვეტი და ვიცავთ მას მთელი ჩვენი ძალებით. რომ გერმანიაში, საფრანგეთში და იტალიაში დადგეს ჩვენი მეორე ასეთივე სვეტი, საერთაშორისო რევოლიუციისათვის ჩვენი მნიშვნელობის 90 პროცენტი გადმოვიდოდა თქვენსკენ. ჩვენ ძალიან მოხარული ვიქნებოდით ამისი და მთელი ენერგიით დავიცავდით თქვენს სვეტს. მაგრამ სანამ ეს, საუბედუროთ, ჯერ კიდევ არაა ჩვენი სვეტი თქვენიცაა აგრეთვე, და თქვენც უნდა დაიცვათ ის. ტურატი ამბობს, რომ ჩვენი ინტერნაციონალი რაღაც ფანტასტიური ინტერნაციონალია, და მე მგონია, როდესაც ყურს ვუგდებდი თქვენს სიტყვებს და დებატებს მის შესახებ, რომ ტურატის ყოფნა ჩვენ ინტერნაციონალში რაღაც არაჩვეულებრივი რამაა.

ამხ. ლორიო. იცავდა რა თავის პარტიას ამხ. ლადზარი სულ მუდამ მის სახელოვან წარსულზე [illegible]. მე უნდა დავადასტურო, რომ მართლაც არავის ჩვენგანს არ დაუვიწყებია იტალიის პარტიის ღვაწლი. ომის დროს ციმერვალდში ჩვენი მემარცხენე პარტია ხშირათ ჰპოვებდა მასში დახმარებას. მაგრამ მარტოვიც ხომ მონაწილეობას ღებულობდა ციმერვალდში. ჩვენ უნდა გავსაჯოთ არა ისტორიული თვალსაზრისით, არამედ იმ სინამდვილის მიხედვით, რომელიც ჩვენს თვალწინაა. და აი პარალელი, რომელიც სურდა გაეყვანა ამხ. ლადზარის იტალიისა და საფრანგეთის სოციალისტურ პარტიებს შორის ჩვენთვის არაა ხელსაყრელი. ეს პარალელი უნდა დავსვათ თანამედროვე ნიადაგზე. თქვენ არა ხართ მართალი სერატივით ლივორნოს კონგრესზე ბრალი დასდოთ საფრანგეთის პარტიას. ამ კონგრესზე აკრიტიკებენ ჩვენს პარტიას, უთითებდენ მის სუსტ მხარეებზე. ჩვენ ვღებულობთ ამ კრიტიკას, რომ საფრანგეთის პარტიაში ჯერ კიდევ არიან საკმაოდ არაა გამარჯვებული კომუნისტური ელემენტები და რეფორმიზმის ზოგიერთი ნაშთები. მაგრამ საერთოდ შეიძლება ვუსაყვედუროთ საფრანგეთის პარტიას ოპორტუნიზმი? კითხვაზე იმყოფება თუ არა საფრანგეთის პარტია რევოლიუციის გზაზე, უნდა ვუპასუხოთ კი, მართალია ის ჯერ კიდევ სუსტია, ეწინააღმდეგება ბურჟუაზიას, მაგრამ მას მოეპოვება რევოლიუციონური ნება და ენერგია. პირიქით იტალიის პარტია იმყოფება კონტრ რევოლიუციის გზაზე. აქ ბევრი ილაპარაკეს ტურატზე, მაგრამ საქმე ხომ ერთ ტურატში არაა, არამედ იმ რეფორმისტულ სულში, რომლითაც გაჟღენთილია იტალიის მთელი სოციალისტური პარტია. როგორია ჩვენი საფრანგეთის პარტიის გამოცდილება? რა მოხდა პოლ ფორთან, მისტრალთან, ლონგესთან და სხვ. რასკოლის შემდეგ? ისინი მუშაობენ გაზეთ „პოპულერ“-ში, რომლის სულის ჩამდგმელია ლეონ ბლუმი, რომელიც ბურჟუაზიის პირდაპირი თანამშრომელია, რომელიც გავლენას ახდენს ლონგეტისტების მთელ პოლიტიკაზე, რომელმაც შებოჭა ისინი, რომლებიც მიითრევს მათ სოციალ-გამცემლობის უფსკრულისაკენ. ისინი ეშვებიან ახლა თავისი ნების წინააღმდეგ დაღმართში. და თქვენს პარტიაშიაც ამხ. ლადზარ სერატას [illegible] ყველა სოციალ-გამცემლები და ეშვება იმ დაღმართში, რომელიც მიიყვანს მას აუცილებლად ბურჟუაზიასთან თანამშრომლობამდე. აიღეთ მაგალითად თქვენი ალექსანდრო, რომელიც მუდმივი თანამშრომელია იმავე გაზეთ „პოპულერის“. იმათ თქვენგან, რომელთაც რევოლიუციის საქმისათვის გულწრფელი თავდადებული [illegible] ხართ, სახელდობრ უნდა გაწყვიტოთ კავშირი რეფორმისტებთან, ვინაიდან მხოლოდ ამაში იქნება თქვენი ღვაწლი მომავალი რევოლიუციის საქმის წინაშე.

ამხ. ლაზოვსკი. იტალიის სოციალისტური პარტიის წარმომადგენელმა ლაზარმა აღნიშნა აქ, რომ პარტიის პოლიტიკა ეთანხმება შრომის კონფედერაციის პოლიტიკას. ეს არაა სწორი. კონგრესზე ლივორნოში მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომლის თანახმათ შრომის კონფედერაცია უნდა გამოსულიყო ამსტერდამის ინტერნაციონალიდან და მიმხრობოდა საერთაშორისო პროფსაბჭოს. რას შვრება შრომის კონფედერაცია? უერთდება საერთაშორისო პროფსაბჭოს? არა, პირიქით, ის უახლოვდება სულ უფრო და უფრო ამსტერდამს. იტალიის შრომის კონფედერაცია მიმართავს დახმარებისათვის ამსტერდამს და თხოვს მხარის დაჭერას ფაშისტებთან ბრძოლაში. ის ღებულობს ამსტერდამიდან 50,000 ლირას. იტალიის მუშებმა უნდა იცოდნენ, რომ ამ ფულის გამომგზავნი მჭიდრო კავშირში არიან იტალიისა და სხვა ქვეყნების მრეწველებთან.

ახლახან ჩვენ მივიღეთ წინადადება შრომის იტალიის კონფედერაციისაგან მოვიწვიოთ წითელ პროფკავშირების კონგრესი სტოკჰოლმში ან რეველში. ჩვენთვის, ეს გაუგებარი იყო, და ვუპასუხეთ, რომ შეძლება არა გვქონდა მოგვეყვანა ეს სისრულეში. მაგრამ გუშინ მივიღეთ ჩვენ წერილი დარაგონასაგან, რომელიც გვიხსნის ჩვენ, თუ რატომ საჭიროა კონგრესის მოწვევა სტოკჰოლმში ან რეველში. წერილში ნათქვამია, რომ ეს საჭიროა დელეგატების მანდატების უკეთესი კონტროლისა და კავშირისათვის. მაშასადამე დარაგონა უფრო მეტ გარანტიებს მოელის კონგრესის დელეგატებისათვის შვეციისა და ესტონეთის ბურჟუაზიულ მთავრობებისაგან, ვიდრე წითელ რევოლიუციონური მოსკოვისაგან. ეს წერილი ძალიან „მახვილგონივრულია“, მაგრამ ჭკვიანი კი არაა და ნათლად ღაღადებს იმას, რომ მათ სურთ ამსტერდამის ინტერნაციონალში დარჩენა.

ლივორნოს შემდეგ—ამბობს ამხ. ლოზოვსკი,—პარტია სულ უფრო და უფრო მარჯვნივ მიდის და მე გაფრთხილებთ თქვენ, ამხანაგებო, იტალიის სოციალისტური პარტიიდან ამ შეცდომებისა და შრომის იტალიის კონფედერაციის იდეურ [illegible]საგან.

ამხ. რაკოვსკის უკრაინის დელეგაციის სახელით წინადადება შეაქვს შესწყვიტონ კამათი, ვინაიდან საკითხი უკვე საკმარისათ ნათელია და შემდეგში ახალი არაფერი არ იქნება შეტანილი. წინადადებას კონგრესი ღებულობს.

ამხ. კენენი. 9 დელეგაციის სახელით შემოაქვს რეზოლიუცია კომინტერნის აღმასკომის მოქმედების შესახებ. (რეზოლიუცია მოყვანილი იქნება ხვალ).

(შემდეგი იქნება)

ქრონიკა

— **ამხ. ფ. მახარაძის მოგზაურობა.** მიწად-მოქმედების სახალხო კომისარი ამხ. ფ. მახარაძე 21 აგვისტოს გამგზავრებული კახეთში, დაბრუნდა 1 სექტემბერს. ამ ხნის განმავლობაში ამხ. მახარაძემ დაათვალიერა ყველა ძვირფასი სახალხო მამულები სიღნაღის და თელავის მაზრებისა. ეწვია თელავს, სიღნაღს და ლაგოდეხს, ამასთან თელავში და ლაგოდეხში დაესწრო პარტიულ კონფერენციას და ყველა შესაძლებელ ალაგს გამოდიოდა მიტინგებზე. ყველგან ამხ. მახარაძეს გლეხები აღტაცებით ხვდებოდნენ და გამოსთქვამდენ სრულ თანაგრძნობას და ნდობას საბჭოთა ხელისუფლებისადმი და კომ. პარტიისადმი, ამასთან ამხ. მახარაძეს სთხოვეს მიწის საკითხის გადაწყვეტის დაჩქარება.

— **ა. ბლოკის ხსოვნის საღამო.** სექტემბრის 3-ს კონსერვატორიის დარბაზში შესდგება ა. ბლოკის ხსოვნის საღამო. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ პოეტები, მხატვრები და მუსიკოსები. პროგრამაში: სიტყვები, ლექსები, რომანსები და სხვ.

— **რკინის გზებზე მგზავრობის წესების დამრღვევთათვის.** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის [illegible] დადგენილების, რკინის გზის ლიანდაგზე და სადგურზე წესრიგის დარღვევისათვის დაჯარიმებულნი არიან შემდეგი პირნი: 1) აბდულა [illegible] 1 000 000 მან. 2) [illegible] თუთარაშვილი, 3) ანდრია წულუკიძე, 4) ალი ისკანდერი ალიკვერდოვი, 5) აკის ჩაირამ ოღლი თვითეული 500.000 მანეთით; 6) იაკობ ლეჟავაშვილი, 7) ფილიპე ცოგანი, 8) ლუკა სუკრავცვაია, 9) ბაგრატ ფუხანიშვილი, 10) ივანე მარამიძე, 11) ივანე ჩხეიშვილი, 12) მელიტონ ფრანგიშვილი, 13) ალი კურბან ოღლი—თვითეული 200 000 მანეთით; 14) კოსტა გაბუნია, 15) გალაქტიონ თურქიძე, 16) მანუჩარ ფხაძე, 17) ილია ცოციაშვილი—თვითეული 100,000 მ.ნ.; 18) [illegible]—1 თვე საზოგადოებრივი მუშაობა მიესაჯა.

— **სომხეთის [illegible].** სომხეთ—ტელეგრაფისტთა, ცხენოსნების და მეთოფეების კვალიფიციურ მუშაკთა დიდი საჭიროება. სომხეთის ს. ს. რ. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარმა [illegible] თხოვნით საქართველოში მყოფ სომხეთის წარმომადგენელს მიმართა [illegible] და გაგზავნის მის განკარგულებაში [illegible] სპეციალისტები. სომხეთში ისინი მიიღებენ გადიდებულ ჯამაგირს.

— **ქართული ახალი კინო დრამა.** კინოს სახელმწიფოებრივმა მმართველობამ მიიწონა და დაადასტურა გადასაღებად ცნობილ ქართველ მწერლის ია ეკალაძის კინო დრამა „არსენა“, 5 ნაწილად პროლოგით და ეპილოგით. სცენარი დამყარებულია ცნობილ „არსენას ლექსზე“ და შეიცავს მრავალ საყურადღებო ეპიზოდს ბატონყმობის ცხოვრებიდან. კინოსექცია ამ დღეებში შეუდგება სურათის გადაღებას და უახლოეს მომავალში აჩვენებს საზოგადოებას.

◆ **პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოში. სოფელში მუშაობისთვის.** ც. კ. წინადადებით, რომ სოფელში გაეხსნას სამკითხველოები, კლუბის განყოფილებამ მოაწყო ექსპედიციები კლუბის საქმის მცოდნე ინსტრუქტორების—ჯერჯერობით თბილისის ახლო მდებარე სოფლებში (კერძოთ წყნეთში) ასეთ სამკითხველოების გასახსნელათ უახლოეს დროში. ინსტრუქტორებს აქვთ სათანადო ლიტერატურა და საშუალებანი. ამას გარდა წმინდა სადიტაციო მიზნით სოფლებში იგზავნებიან ექსპედიციები ავტომობილებით, რომელთაც თან ახლავს ორკესტრი.

კლუბების რიცხვი. ამ ჟამათ თფილისში ითვლება 35 კლუბი, რომელთაგანაც 13 იმყოფება პოლ. გან. მთავარ სამმართველოს სრულს გამგებლობაში. პოლ. გან. მთ. ს. სამმარ. ბათუმში მოაწყო ორი რაიონული გლეხურ მუშური კლუბი, ქობულეთში 23 აგვისტოს გაიხსნა კლუბი-სამკითხველო. მოსახლეობის მხრივ საკლუბო საქმეებისადმი შეჩნეულია დიდი თანაგრძნობა.

◆ **წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.** მცხეთის რაიონის პოლ. გან. მთავარი სამმართველომ მოაწყო წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სამეული. გადაწყვეტილია 1 კვირის განმავლობაში დამთავრდეს წერა კითხვის უცოდინართა აღრიცხვა. აღრიცხვა დაიწყო 28 აგვისტოდან.

◆ **ტუსაღების იძულებით სამუშაოს ორგანიზაცია.** იძულებით სამუშაოთა ფართო მასშტაბით მოწყობის მიზნით ტუსაღთათვის და იმ პირთათვის ვინც იხდიან ადმინისტრატიულ სასჯელს, იძულებითი სამუშაოთა მთავარი სამმართველომ ყველა სამაზრო და ქალაქის რევკომებს დაუგზავნა ცირკულიარული რაიონულად იძულებით სამუშაოთა და კონცენტრაციულ ბანაკების შესახებ და აგრეთვე მათი ინსტრუქციებიც.

— **ახალი გამოცემები:—„ლამეები“.** სექტემბრის შუა რიცხვებში გამოვა რაჟდენ გვეტაძის ლექსების. მეხუთე წიგნი „ლამეები“.

◆ **„ბაბილონი“.** სექტემბრის შუა რიცხვებში გამოვა შალვა კარმელის ლექსების პირველი წიგნი „ბაბილონი“.

◆ **ხალმო დამშეულთა სასარგებლოთ.** შაბათს 3 სექტემბერს არსენალის კლუბში ვოლგის მხარის დამშეულთა სასარგებლოთ გამართულ იქნება დიდი მრავალფეროვანი საღამო, საღამოში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი და რუსი მსახიობები. საღამოს შინაარსი შემდეგია: 1) პიესა ქართულად და რუსულად, 2) საკონცერტო განყოფილება, 3) ცეკვა, ჩხუბი კონფეტით, ფოსტა, ყვავილები, მაზხალა და ამერიკული აუქციონი: კლუბთან იქნება ბუფეტი ღვინით, ჩაით, ხილით და სხვა.

— **საპნის წარმოება.** ს. მ. უ. ს. საეკონომიო-სასტატისტიკო განყოფილება ქალ. თბილისში არსებულ საპნის ქარხნების შესახებ შემდეგ ცნობებს იუწყება: უბრალო საპონი დამზადდა იანვარში 631.26 ფუთი, თებერვალში 815,13 ფ., მარტში 1255 12 ფ., აპრილში 1157.07 ფ., მაისში 11,99 ფ., ივნისში 868 ფ., ივლისში 82 ფ. ტუალეტის საპონი: იანვარში 302 დუჟინი, თებერვალში 693 დუჟ., მარტში 1663 დ., აპრილში 4188 დ., მაისში 1878 დ., ივნისში 797 დუჟ., ივლისში 918. წარმოების დაცემა ივნისში და ივლისში აიხსნება საკმაო რაოდენობის ნედლი მასალის უქონლობით.

— **შინა-მრეწველობის განყოფილება.** ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის 27 აგვისტოს დადგენილებით არსდება შინა-მრეწველობის განყოფილება. განყოფილების გამგებლობა დაევალა ს. მ. უ. ს. სარედაქციო საინფორმაციო ნაწილის გამგეს ამხ. ფ. მ. ახობაძე-ტუკჩევს. შინა მრეწველობის განყოფილება საქართველოს პროფკავშირების ეკონომიური განყოფილებასთან ერთად შეუდგა არტელის სამუშაო წესდების შემუშავებას.

რისთვის სჯის საბჭოთა ხელისუფლება

კონტრ-რევოლიუციისათვის.

საქ. საგან. კომისიის კოლეგიამ ამა წლის 20 აგვისტოს სხდომაზე მოისმინა: ირაკლი ნესტორის-ძე გაგლოევის, შაქრო ცხოვრებაშვილის და სიმონ გიორგის-ძე საფაროვის საქმე, რომელთაც ბრალად ედებოდათ კონტრ-რევოლიუციონერობა.

გამოძიებამ აღმოაჩინა დანაშაულობის შემდეგი ცხადი ფაქტები:

1) ირაკლი გაგლოევი წევრია მთელს სამხრეთ-ოსეთში ყველაზე კონტრ-რევოლიუციონურ ოჯახისა. იგი ღებულობდა ძლიერ ენერგიულ მონაწილეობას სამხრეთ ოსეთის კომუნისტურ ორგანიზაციათა ფარულ მუშაობის მოსასპობათ, 1919 წელს მან თავის დროზე გააკეთა მოხსენება თბილისში წითელი რაზმების შესახებ, რის შემდეგაც მოყვა ამ რაზმების დაღუპვა. თვითონ პირადათ უბრალო ეჭვითაც კი ბოლშევიზმის მომხრეობაში განურჩევლად იტუსაღებდა ამხანაგებს. ადგენდა ტერორისტულ ჯგუფებს სამხრეთ-ოსეთის კომუნისტურ მოძრაობის ბელადების მოსასპობათ.

2) ირაკლი გაგლოევის მთავარი თანამშრომელი კონტრ-რევოლიუციონურ მოქმედებაში იყო შაქრო ცხოვრებაშვილი, მენშევიკურ საქართველოს ჯაშუში. მისი ჩვენებით გარშემორტყმულ იქნა მენშევიკების მიერ წითელ რაზმების არიერგარდი და მათგან 3 ამხანაგი კომუნისტი დახვრეტილ იქნა.

3) სიმონ საფაროვი იმყოფებოდა რა მეფის ლაშქარში ოფიცრათ, მსახურობდა, ტრაპიზონის კონტრ-მზვერავთა რაზმში. მენშევიკების მთავრობის დროს მსახურობდა სახალხო გვარდიაში ოფიცრათ და როგორც გამოცდილი ჯაშუში კონტრ-მზვერავათ გადაყვანილ იქნა სოფ. ვარიანცლოკაში კონტრ-საზვერავ პუნქტის უფროსად, საიდანაც ერთგულად სამსახურისათვის გადმოყვანილი იქნა თფილისში კონტრ-დაზვერვის მთავარ შტაბში; ს. საფაროვის პროვოკაციები—როგორც სპეციალისტ პროვოკატორის და ჯაშუშისა აშკარაა.

საგანგებო კომისიის კოლეგიამ მიიღო რა მხედველობაში დიდი ზიანი ზემოხსენებულ დამნაშავეთა მიერ მუშურ გლეხურ ინტერესებისადმი მიყენებული და მათი არსებობის საფრთხე [illegible] ხელისუფლებისთვის, სამივე დამნაშავეს მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა. შაქრო ცხოვრებაშვილს, როგორც გლეხს განაჩენი შეუმსუბუქეს, დახვრეტა შეუცვალეს 5 წლის იძულებით სამუშაოთი. განაჩენი ირაკლი გაგლოევის და სიმონ საფაროვის მიმართ სისრულეში მოყვანილ იქმნა ღამით 30 აგვისტოს.

ამიერ კავკასიის რკინის გზელთა საოლქო ყრილობის საზეიმო დასრულება

სამშაბათს 30 აგვისტოს სახელმწიფო დრამატიულ თეატრის საკონცერტო დარბაზში საღამოთი შესდგა,—დღევანდლამდის მუშტაიდის მუშათა კლუბში წარმოებული,—ამიერ კავკასიის რკინის გზის მუშების საოლქო ყრილობის უკანასკნელი საზეიმო სხდომა, რომელსაც დაესწრენ,—პროფკავშირთა საბჭოს პლენუმი, ახლად დასრულებული მედიკო—სანიტარული კონფერენციის პრეზიდიუმი და ფაბრიკა—ქარხანათა კომიტეტების წევრები.

საზეიმო სხდომა გახსნა რ. პ. კ. ს. წევრმა ამხ. ი. ფიგატნერმა; მან აქ წარმოსთქვა მოკლე სიტყვა, ხაზი გაუსვა—მენშევიკების ბატონობით დაქუცმაცებული, მტრულ ბანაკებად შექმნილი ამიერ კავკასიის რესპუბლიკების გაერთიანების მნიშვნელობას, რის თავდებიც მისი აზრით ეს პირველი, ამიერ-კავკასიის რკინისგზელთა დღევანდელი საოლქო ყრილობა არის.

ალმასკომის არჩევნები.

ამხ. ი. ფიგატნერის წინადადებისამებრ არჩეული იქნა ყრილობის საოლქო რკინისგზელთა ალმასკომი, რომლის თავმჯდომარეობა მიენდო ამხ. ეგოროვს. ამხ. ფიგატნერისავე წინადადებით არჩეული იქნა ალმასკომის სარევიზიო კომისია.

კენჭისყრამ, კანდიდატების ერთხმად გასვლამ დაამტკიცა დელეგატების ერთსულოვნება, სრული თანხმობა.

მოწოდება აღნიშნულ რესპუბლიკათა რკინის გზის მუშებს.

პრეზიდიუმის მინდობილობით ამხ. ვ. მაჭავარიამ წაიკითხა მოწოდება ყრილობისა ამიერ კავკასიის რკინის გზელთადმი მიმართული, რომელიც ახსნავს მათგან შექმნილი მჭიდრო კავშირში გაორკეცებული, ნაყოფიერ მუშაობას დანგრეული ტრანსპორტის აღსადგენად.

მისასალმებელი დეპეშები.

მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნა ყრილობისგან შემდეგ პარტიულ თუ საბჭოთა მთელ დაწესებულებებს: რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, აზერბაიჯანის, მთიელების, სომხეთის და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკებს; ამავე რესპუბლიკებში არსებულ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოებს; მე-3 კომუნისტურ ინტერნაციონალს; საერთაშორისო წითელ პროფკავშირთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს მოსკოვში; სრულიად რუსეთის პროფკავშირთა საბჭოს; სრულიად რუსეთის რკინისგზელთა პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტს.

მსოფლიო პროლეტარიატის დიდ მასწავლებელს ამხ. ლენინს, რაც იწვევს ხანგრძლივ ოვაციებს, მუსიკით ინტერნაციონალის შესრულებას.

წითელ ფლაგზე აღნიშვნა.

ამხ. ი. ფიგატნერის წინადადებით წითელ ფლაგზე იქნა აღნიშნული ძველი რკინის გზის მუშაკი ამხ. შაპიგანოვიჩი, რომელსაც ყრილობის დადგენილებისამებრ უნდა ეძლიოს გაძლიერებული ულუფა თავის დაუსტეხულ გამოფიტულ ორგანიზმის შესავსებ გამაგრებლად.

ყრილობისადმი გამოსათხოვარი სიტყვები. ამხ. გ. ყურულაშვილის სიტყვა.

ნება მომეცით ამხანაგებო გითხრათ თქვენ ამიერ კავკასიის რკინის გზელთა საოლქო ყრილობას მოკლე გამოსათხოვარი სიტყვა.

მენშევიკ-დაშნაკ-მუსავატების ბატონობის დანგრევის შემდეგ ჩვენ აქ თბილისში პირველად გვეხვეწება დაქსაქცეულ დაყოფილ რესპუბლიკებში მყოფ მუშათა კლასის გამაერთიანებელ, შემაკავშირებელ ყრილობის მოწვევა, და ჩვენ ვამბობთ—ამიერ კავკასიის ეს პროლეტარიატი ვერ ელირსებოდა ამას, რომ არ ყოფილიყო საბჭოთა აზერბაიჯანი და საბჭოთა სომხეთი, საბჭოთა მთიულეთი, და საბჭოთა საქართველო,—ეს არ უნდა იქნას გაშვებული მხედველობიდან, და უნდა აღინიშნოს მისი სიდიადე. თუ რა დიდი მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ამ გაერთიანებულ მოქმედებას მუშაობას იმ დროს, როცა კაპიტალისტურ ევროპაში იქედება მახვილი ჩვენი გულში ჩასაცემად. ჩვენი ეს გაერთიანება-შეკავშირება ეკონომიურად და პოლიტიკურად, ეს პასუხის გაცემაა მათი ხმლების ჩხარუნზე; ყოველივე ასეთ საფრთხის გაზრდა-გაძლიერებაზე ჩვენ კიდევ უფრო შევკავშირდებით, შევიარაღდებით, გავზრდით ჩვენს რკინის პროლეტარულ რიგებს.

გაუმარჯოს რუსეთის ძლევამოსილ კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს!

ამხ. გალაქტიონ ნუცუბიძის სიტყვა.

იგი გამოდის ახლად დამთავრებულ მედიკო სანიტარული კონფერენციის სახელით და აღნიშნავს რკინისგზელთა ამ საოლქო ყრილობის სიდიადეს, ამიერ კავკასიის პროლეტართა ცხოვრებაში ამით ახალი ერის დაწყებას და ასკვნის:—მოღალატე, გაიძვერა მენშევიკების მიერ მუხანათურად დაწყვეტილი ჩვენი ძმების კავშირები ჩვენ აღვადგინეთ ამით, და მას აწი ასე გამთელებულს ჩვენის დიდი შრომით ვერავითარი მტრული ძალა ვერ გამოგვგლეჯს ხელიდან, ვერ დაგვაწყვეტს ვერავინ.

გაუმარჯოს პროლეტარული რევოლიუციის ტვინს და გენიას, ჩვენს დიდ ამხანაგს ლენინს!

შემდეგ გამოდიან,—აზერბაიჯანის მუშების სახელით ძველი მუშა ამხ. ხალხოვი, რომელიც ჯერ თათრულად, შემდეგ რუსულად ლაპარაკობს, ყრილობის წევრებში იწვევს მოწონების ნიშნად ხანგრძლივ ტაშს. ამხ. ახაკიანი სომხეთის პროფკავშირთა საბჭოს სახელით სომხურად და რუსულად და, ამხ. პარმენ ხაბაშვილი, საქართველოს რკინის გზელთა პროფკავშირის საბჭოს სახელით ქართულად, რომელსაც სთარგმნის რუსულად ჩვენი ძველი მუშა—ამხ. აქილ ოქუაშვილი.

ამხ. სერგო ორჯონიკიძის სიტყვა.

რ. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის წევრი ამხ. სერგო პირველად ეხება თბილისის ძველი მუშის ამხ. არაქელის და ბაქოს ამავე ძველი მუშის ამხ. სადიხოვის გამოსვლებს და ამბობს:— თებერვლის რევოლიუციის შემდეგ თბილისს არ უნახავს თავის მიტინგ-კრებებზე ბაქოს მუშების ისეთი ძველი გამოცდილი წარმომადგენელი, როგორიც არის აქ ახლა სიტყვის წარმომთქმელი მუშა,— ამხ. სადიხოვი, და თბილისის მუშების წარმომადგენელი, ჩვენი ქალაქის პირველად წითელი დროშის ამწევი ამხ. არაქელა. თბილისმა ნახა მენშევიკების შემწეობით მხოლოდ ბინი-ხანხოისკები და მსგავსნი მათნი. ...კომუნისტური პარტია, რომელიც დღეს საერთაშორისო პარტიად, ამ პარტიამ შეაერთა, მოიწვია თბილისში პირველად მთელი ამიერ-კავკასიის რკინის გზის მუშათა ყრილობა. ვერავინ ვერ იტყვის ამხანაგებო, რომ ჩვენ, რუსეთის ძლევამოსილ პროლეტარიატის დაუხმარებლად გავიმარჯვებდით აქ მყოფ მრავალი ჯურის კაპიტალისტურ მტრებზე და გვექნებოდა დღეს ეს დიადი ყრილობა,—დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი ხომ სრულებით მეტი იქნებოდა.

აქ შემდეგ ამხ. სერგო გადადის მიმდინარე მომენტზე და აკეთებს ვრცელ ყოველ მხრივ გაშუქებულს, მეტად შინაარსიან მოხსენებას, იგი სხვათა შორის, დიდხანს ჩერდება ხელახლა მოსალოდნელ მსოფლიო ომის ქარტეხილზე, ბურჟუაზიულ იმპერიალისტურ ევროპის იარაღთა ჩხარუნზე, მოყავს მის ირგვლივ შექმნილი დავა აზრები, როგორც ყვითელი ისე წითელი სოციალიზმის იდეოლოგებისა; და ბოლოს უკითხავს, აცნობს ყრილობას, ევროპაში გამოცემულ მენშევიკების ჟურნალ „ვესტნიკში“ 2 ნახ. ინტერნაციონალის ლიდერის ხელმძღვანელის, მარტოვის წერილს, რომელიც თავის საკუთარ უძლურებას, თავის პარტიის იდეურ გაკოტრებას მკვეთრ-მეტყველურად აშკარავებს; რომელსაც არა სწამს 2 რე ინტერნაციონალის არაფერი; არ უყურებს იმედით თავის 2 ნახ. ინტერნაციონალის ძლიერება-შემძლეობას, არ უნდა იწამოს „ანარქო ბუნტარული“ მესამე კომუნისტური ინტერნაციონალიც, თუმცა ამ უკანასკნელში ხედავს ძლიერებას, ვერ მალავს მის მიერ შემოკრებილ საღ პროლეტარულ ძალებს, რომელიც აერთებს თანდათან დაქსაქსულ მსოფლიო პროლეტარულ ძალებს, ჰქმნის ერთ მთლიან პროლეტარულ რევოლიუციონურ ფრონტს მოსალოდნელ მსოფლიო იმპერიალისტური ომის განიერების წინააღმდეგ და სხვა. ამხ. სერგო ქვევით მეორე ევროპის ბურჟუაზიულ გაზეთში კითხულობს ბოლშევიკებისაგან გაქცეულ ცნობილ კონტრ-რევოლიუციონერის სავინკოვის წერილს, რომელიც თითქო არ უარყოფს მონარქიას, მეფის ისევ გაბატონებას რუსეთის ხალხზე, მაგრამ თუ კი მიუხედავად ამისა რუსეთის ხალხი მეფეს ყოველს მოიგერიებს, აირჩევს მას, იგი ხალხის მიერ არჩეულის წინაშე მუხლს მოიდრეკს, სიხარულ-სიყვარულით დაემორჩილება მას—ე. ი. მონარქს, მეფეს და სხვა. მიუხედავად მრავალგვარი წამება-წვალებისა—დაასკვნა მან—რომელიც ჩვენ, ჩვენმა პარტიამ განიცადა, აიტანა, ცდის და იტანს ეხლაც, ჩვენ გამოვედით წმინდათ ჩვენს რევოლიუციონურ ბრძოლებში; ერთადერთი ჩვენს კომუნისტურ პარტიას არ შეუბღალავს რევოლიუციონური პროლეტარიატის წითელი დროშა; არ უარგვყვია არც ერთხელ ჩვენი რწმენა მომავალზე და აქეთკენ მავალი გზა. ამიტომ ამხანაგებო, უყურებთ რა დღესაც ასეთივე რევოლიუციონურის ფოლადისებური აწმენით მომავალს,—ვამბობთ: ჩვენ შევსძლებთ დამშეულების გამოკვებას, რომელიც ულმობელმა სტიქიამ გვაწვნია; ჩვენ შევსძლებთ დანგრეულ რკინისგზა-ტრანსპორტების აღდგენა-განმტკიცებას; ჩვენ ვამბობთ: ეკონომიური მდგომარეობა—როგორც შინაური ისე გარეშე,—რუსეთისა მრავალჯერ უარესი წინად იყო, მიუხედავად სტიქიის მიერ რგუნებულ დამშევისა.

—დაასრულა ამხ. სერგომ მიულოცა ყრილობას, რომ ეს გაერთიანება, ამიერ-კავკასიის ტრანსპორტთა ამ ერთი ცენტრის შექმნა გახდებოდეს თავდები უფრო ძლიერი, ამიერ კავკასიის ეკონომიური ცენტრის შექმნისა, რომელიც ამყარებს საბჭოთა რესპუბლიკებს სიმშვიდეს, სიცოცხლეს და სხვა მიუცილებელ საარსებო საგნებს.

დასასრულ ამხ. პ. საბაშვილის წინადადებით ყრილობა ადგენს რუსეთის დამშეულ გლეხების სასარგებლოთ სამი თვის განმავლობაში გამოერიცხოს ყველა წევრთა, განსაზღვრული რიცხვი ჯამაგირისა, რკინის გზელთა საოლქო ალმასკომს დაევალა თავის მოქმედების პირველ რიგში ამ დამშეულებზე იზრუნოს.

შემსულ წინადადებისამებრ გაეგზავნა მისალმების დეპეშა ამიერ-კავკასიის რევოლიუციის პიონერს ამხ. და მასწავლებელს მახა ცხაკაიას.

ხევსტი.

მკითხველის წერილი

ქრთამი, ქურდობა, ხელცრობა და გულგრილობა უნდა მოისპოს.

განცხრომით კმაყოფილი ცხოვრება, ეს ისეთი სატრფიალო რამეა, რომ ის ბევრს იზიდავს. თუ სინიდისით და სიფაქიზით არა ხარ დაჯილდოვებული, შეუძლებელია რომ არ ჩაგითრიოს ჯიბის გასქელებისაკენ ლტოლვამ ბოროტ მოქმედების გზით, ქრთამი, ქურდობა, დატუქსულება, სიყალბე, ამა თუ იმ მრუდე გზით ფულის შეძენა—ეს ძველი ყოფილი მენშევიკური რეჟიმის ნაშთევებით და აქ სამწუხაროა ის, რომ მიუხედავად შეცვლილ საპატიოებისა ამ გვარ პათოზიტთა თარეში ჩვენს ზოგ დაწესებულებაში არა თუ შეიკვეცა, არამედ ჯერ კიდევ მრავლდება კი ეს იმიტომ, რომ სამწუხაროდ; ზოგიერთი ჩვენი სახელმწიფო დაწესებულება ჯერ კიდევ ვერაა ისე გადაბალისებული, რომ შეუბრალებლად ებრძოდეს ბოროტ-მოქმედებას. მენშევიკების დროს რომელ დარგს ან დაწესებულებას დაასახელებდით, რომ იქ ან გულგრილობა, ან ხელცრობა, ან გადართმევა, ან მითვისება, ან ქურდობა, ან ქრთამი და სხვა ასეთი უგუნურება არ ხდებოდა. და დღეს ბევრია ისეთი, რომელნიც ასეთ საქმეებში არიან შენიშნულნი კანონით თუ ხალხის ხმით და მართლაც უკეთეს მატერიალურ პირობებში იმყოფებიან. ბევრი შეიძინეს ე. ი. „გამოძლენ“, მაგრამ რაკი იურიდიულად რომ ვსთქვათ ბოროტ-მოქმედებაზე ვერ მიუსწრეთ და საბუთებით ხელში ვერ დავიჭირეთ, თავისუფლად დათარეშობენ და ხელიც გახსნილი აქვთ შემდეგი მოქმედებისთვის. ყოფილა ისეთი შემთხვევებიც (რასაც ყოფილ მენშევიკურ მთავრობის დროს ჰქონდა ადგილი) რომ თუმცა ბოროტმოქმედს ადგილზე წააწყდენ მაგრამ სხვა და სხვა პროტექციების მეოხებით, სასჯელს აიცდენს. და აი ყველა ესენი ახლა სხვა და სხვა დაწესებულებებში არიან მოკალათებულნი, ყოფილ მენშევიკურ მთავრობის დროსაც, ბევრი იბეჭდებოდა პრესაში მათ შესახებ, მაგრამ როგორც სხვა კანონპროექტები, აგრეთვე ასეთი ამბებიც რჩებოდა მხოლოდ ქაღალდზე და არ ტარდებოდა ცხოვრებაში. ამის მსგავსი ჩვენში ახლა არაფერი არ უნდა ხდებოდეს: რაც იწერება, ის კიდეც უნდა ტარდებოდეს. უწინარეს ყოვლისა ყველანი სინდისს უნდა დაეყრდნოთ და უეჭველ ვინმე სინდისით არაა დაჯილდოვებული, მათ წინააღმდეგ პროლეტარიატის მაგარი ხელი უნდა მოქმედებდეს.

კურსელი ტ. წინწყალაძე.

პარტიული ცხოვრება

ფოთი

ამა წლის 14 აგვისტოს მოხდა ფოთის ორგანიზაციის საერთო კრება. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ამხ. გაბისკერია და მდივნათ ამხ. მგუნარგია.

მოხსენებას აკეთებს საქართველოს რევკომის დავალებით ამხ. ოდილავაძე სასურსათო გადასახადის შესახებ, სადაც ამხ. მომხსენებელმა ვრცლათ აღნიშნა მნიშვნელობა ამ გადასახადის სახელმწიფოსათვის. ამასთანავე აღნიშნა თუ რა ზიანი მოაქვს ქაღალდის ფულის უზომოდ გამოშვებას და სხვა.

იყო მრავალი შეკითხვები და ყველა შეკითხვებზე ამხ. მომხსენებელმა გასცა დამაკმაყოფილებელი პასუხი.

მოხსენება ამხ. ოდილავაძის აკმაყოფილებს კრებას და სცნობს მთავრობის გადადგმულ ნაბიჯს მიზან შეწონილად და მისაღებად.

მოხსენება სასურსათო განყოფილების გამგის მოადგილე ჩხარტიშვილისა, შესახებ იმისა, თუ რა გააკეთა სასურსათო კომიტეტმა ამ ხუთი თვის განმავლობაში. მოხსენების გაკეთების შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ კომიტეტის წევრები დაიღალენ და ვინაიდან სასურსათო საქმე მეტად რთულია, ითხოულობს გამოცვლას და ახალი კომიტეტის დანიშვნას. კრება მოხსენებით კმაყოფილდება, მხოლოდ კომიტეტის წევრებს არ ანთავისუფლებს. ავალებს პარტ. კომიტეტს დაუმატოს ორი ამხანაგი კომიტეტს, რომ გაუადვილდეს მათ მუშაობა.

პარტიული შკოლის შესახებ ძველი პარტშკოლის კურსანტები იქმნას გამოშვებული და განაწილებული დაწესებულებებში და ახალის მიღება დამთავრდეს არა უგვიანეს 23 აგვისტოსა და ამავე რიცხვიდან დაწყებული იქნას სწავლა. სკოლაში იქნას მიღებული მხოლოდ წევრები და კანდიდატები.

ა. წ. 20 აგვისტოს შედგა ფოთის კომ. ორგანიზაციის პარტ. კომიტეტის მორიგი კრება. დაესწრენ მგუნარგია, ქურიძე, ლომაძე, გაბუნია, ქიასული, გაბისკერია, გოგია, ჯალაღაბია, დგებუა.

დღიური საკითხი: 1) გადამტვირთველ მუშებისათვის ტარიფის გარჩევის შესახებ, 2) რაზმის შედგენის შესახებ.

დაინიშნა კომისია სამი კაცისაგან შემდგარი, რომელსაც დაევალა 21 აგვისტოს შეკრიბონ პარტკომში და გადასინჯონ გადამტვირთველთა მუშებისათვის ტარიფი. მეორე საკითხის შესახებ დაადგინეს: იქნას შეკავშირებული პირველი გამოშვებული კურსანტები მეორესთან. არჩეული იქნა სამი ამხანაგი, რომლებსაც დაევალა ამ საქმის ხელმძღვანელობა, ამასთან შედგეს სია ყველა პასუხის მგებელ ამხანაგებისა, უკანასკნელნი შეიარაღდეს და შეუერთდეს პარტშკოლას და ამ რიგად მოეწყოს სამხედრო საერთო ვარჯიშობა.

ვალიკო ხუხსიაშვილი.

—

პარტიული მუშაობა № პოლკში

3 აგვისტოს 1921 წ. შესდგა მუშურ გლეხურ პოლკში იაჩეიკის კრება. კრების მიზანი იყო მიმდინარე მომენტზე და პარტიის დისციპლინაზე, აგრეთვე დრ. იაჩეიკიდან პოლიტრუკების არჩევაზე მოხსენების გაკეთება. სამხ. კომისარი ამხ. გვალია მოუწოდებს კრებას თავმჯდომარის და მდივნის ამორჩევად. კრება ირჩევს თავმჯდომარედ ამხ. გვალიას, მდივნათ ამხ. მალკოვს. მოხსენებას აკეთებს მომენტზე ამხ. გალკოვი, რომელიც ვრცლად ეხება დღევანდელ მომენტს. შემდეგ მოხსენებას აკეთებს სამხ. კომის. ამხ. გვალია პარტიული დისციპლინაზე, ფართოთ აცნობს კრებას იმ აუცილებელ საქმეს, რომელიც გაკეთებულ უნდა იქნას, მოუწოდებს ენერგიული მუშაობისაკენ ამხანაგებს და ხაზს უსვამს პარტიის გამაგრების საჭიროებას, რომელიც გაწმენდილი უნდა იქნას არასასურველი, უღირსი პირებისაგან. შემდეგ ამხ. გვალია გადადის დრ. იაჩეიკიდან პოლიტრუკების არჩევის და მათი დანიშვნების საკითხზე. ხაზს უსვამს იმ მუშაობის, რომელიც უნდა გააკეთოს თვითოეულ პარტიის წევრებს და პასუხისმგებელ მუშაკებისაგან, აგრეთვე ამხ. გვალია ფართოთ შეეხება კომუნისტური პარტიის მუშაობას მთელ ქვეყნის მასშტაბით და მოუწოდებს ამხანაგებს ენერგიული მუშაობისაკენ. მოხსენებელს ტაშის ცემით აჯილდოვებენ, რის შემდეგ არჩეულ იქმნა ხუთი ამხ. პოლიტრუკებათ, რომლებიც მისალმებითი სიტყვით გამოდიან ამხ. გვალია და მალკოვი მოუწოდებენ შეგნებულობით მოვალეობის აღსრულებისაკენ მშრომელთა საკეთილდღეოთ, რის შემდეგ ღებულობენ შემდეგ რეზოლიუციას და მისალმებებს:

ჩვენ მუშურ-გლეხურ № პოლკის კომიაჩეიკის წევრებმა და კანდიდატებმა, მოვისმინეთ რა მოხსენება პარტიის დისციპლინაზე და მუშაობის გაძლიერებაზე, აგრეთვე მოხსენება მომენტზე ამხ. გვალიასი და მალკოვისა, ვადგენთ, რომ მთელი ჩვენი ძალ-ღონით დავიცავთ საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც გამოხატავს მშრომელთა ინტერესებს.

ვესალმებით კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას და მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციის ბელადებს, აგრეთვე მტერთა თავზარდამცემ სახელოვან წითელ ლაშქრის შემქნელ ამხ. ტროცკის.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას!

კლემენტი.

პროვინციაში.

სკოლის გარეშე განათლება სენაკის მაზრაში.

სენაკის მაზრის წერა-კითხვის უცოდინარობის საგანგებო სალიკვიდაციო კომისიამ დაიწყო თავისი მოქმედება ივლისის ბოლო რიცხვებიდან. ამ მოკლე ხნის განმავლობაში მას არ შეეძლო საგრძნობი რამის გაკეთება წერა კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში. უპირველეს ყოვლისა მან გაიცნო ის, თუ რა ნაბიჯი იყო გადადგმული განათლების განყოფილების მიერ ამ საქმის მოსაწყობად. გაცნობის შემდეგ აღმოჩნდა, რომ სხვა და სხვა დაბრკოლებათა გამო ამ დარგში თითქმის არაფერი გაკეთებულა. თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ მიეთხოვათ სოფლის რევკომებიდან წერა კითხვის უცოდინართა რეგისტრაციის მოხდენა, რაიცა მხოლოდ ზოგიერთ რევკომებს შეუსრულებიათ და ისიც უხეიროთ და უფერულად. გაეცნო რა კომისია ამ საკითხის გარშემო ნამუშევარს და მასალებს, გადადგა თავისი ნაბიჯი იმით, რომ განმეორებით წინადადება მისცა ყველა დარჩენილ რევკომებს დაჩქარებით წარმოედგინათ წერა-კითხვის უცოდინართა სია, რის შემდეგ მან, კომისიამ, იქონია რა მსჯელობა ამ საქმის მნიშვნელობაზე დღევანდელ მომენტში, მისი აუცილებლობაზე და ჩქარის ტემპით ცხოვრებაში გატარებაზე, არ მოუცადა წარმოდგენელ სიებს და მისცა ყველა რევკომებს წინადადება, რათა დაუყოვნებლივ მოეწყოთ ადგილობრივად სათემო კომისიები და გაეხსნათ სალიკვიდაციო სკოლები. ამავე დროს, პარალელურად, მიეცა წინადადება მასწავლებლებსაც, რათა რევკომების და კომისიების დახმარებით დაეწყოთ სალიკვიდაციო სკოლებში მეცადინეობა, ვინაიდან ჯერ-ჯერობით მასაში ნაკლებია შეგნება განათლებისადმი, კომისიამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: ყოველგან მაზრის ფარგლებში უნდა გაიხსნას სალიკვიდაციო სკოლები მხოლოდ 10-დან 16 დე წლიანებისათვის.

ხოლო ამათ გარდა სხვაზე მეტ კულტურულ და მოძრავ 10 პუნქტში გაიხსნას 16-ზე მეტი წლოვანებისათვისაც თანდათანობით წლოვანობის მიხედვით.

ამ დღეებში უკვე შემოვიდა ცნობები, რომ ზოგ ადგილებში მეცადინეობა სწარმოებს, მაგრამ ეს არ არის საჭიროებით და დამაკმაყოფილებელი. მიუხედავად შეძლების დაგვარად ზომების მიღებისა, ჯერ ჯერობით ლიკვიდაციის საქმე რიგიანად არ ეწყობა, რომ სწორის ნაბიჯით გატარდეს ეს დიდი მნიშვნელოვანი საქმე მაზრის მაშტაბით, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ინტენსიური მუშაობა ადგილობრივად, შიგ მასაში, გამოცდილ ინსტრუქტორების და ლიკვიდატორების ხელმძღვანელობით.

უნდა თანდათანობით შეჩვიოს და შეიგნოს ხალხმა, რომ ისინი წერა-კითხვის შეძენით დიდ საქმეს შვრებიან საუკეთესო ნაბიჯს აკეთებენ ცხოვრებაში, უნდა შეიგნონ, რომ მათი მოქმედება ამ დარგში არ არის უბრალო დროის კარგვა. მათ უნდა მიეცეს ისეთი სულიერი საზრდო, რომელიც დააინტერესებს მათ ამ დარგში საქმიანობაში. სამისოდ საჭიროა გამოცდილი მასწავლებლები, რომელნიც სასწავლო მასალას შეუფარდებენ ასაკში შესულ ადამიანთა სულიერ მოთხოვნილებას და სამეცადინოთ აირჩევენ შესაფერ მეთოდს. ასეთს ძალებს და საშუალებებს კი ჩვენ, სამწუხაროდ, მოკლებულნი ვართ ვინც არის, ისიც გაურბის მუშაობას, რადგანაც შრომის სასყიდელს არ ღებულობს არამც თუ ზედმეტი შრომისათვის, მასწავლებლებს დამსახურებული ჯამაგირიც არ ეძლევა თავის დროზე, [illegible]. თუმცა მასწავლებელს იდეიური მხარე მეტს უნდა აინტერესებდეს, მაგრამ ფიზიკური არსებობისათვის კი მისი მატერიალურ უზრუნველყოფა აუცილებელია. ბევრია ისეთი შემთხვევა, რომ მასწავლებელი, რომელიც მსახურობს გარეშე სოფელში, თავის სახლიდან დაშორებით. ამ ზაფხულის თვეებში აავა შეეფარა თავის საკუთარ სახლს, სადაც თავისაც ირჩენს და ეწევა შინაურ მეურნეობას. ასეთი მასწავლებელი, როდესაც თავის სახლს მოშორდება და გარეშე საზოგადოებაში წავა სამეცადინოთ, რომ მას მიეცეს საშუალება მუშაობისა სალიკვიდაციო სკოლაში, უსათუოდ უნდა იყოს უზრუნველყოფილი საჭმელ სასმელით მაინც, თუ არა და ის შოულობს მიზეზებს, რომ არ მოშორდეს საკუთარ სახლს და ამით სიმშილს თავი დააღწიოს. ასეთ მდგომარეობაში მყოფი მასწავლებელი კიდევაც რომ წავიდეს ჩვენის დავალებით თავის სკოლაში სამეცადინოთ, მაინც ვერაფერს გააკეთებს, პირიქით, ის საქმეს ავნებს: მასწავლებელი ხალისით უნდა შედიოდეს სამეცადინოთ, რომ მან სასურველ შედეგს მიაღწიოს და მოსწავლეებს გული არ აუცრუოს სწავლაზე. ამას გარდა, ავიცეთ რა, რომ მასსა დასაჩვევი განათლების დარგში სამუშაოთ, არ უნდა მიეცეს მას საბაბი სთქვას, რომ ის ვერ იყიდის სასწავლო ნივთებს თავის ხარჯით; მას ყველაფერი უნდა მიეცეს უფასოთ. ზოგ ადგილებს თავისუფალი შენობებიც არ არის. ყველა ზემოთქმულ დაბრკოლებათა თავიდან ასაცილებლათ საჭიროა საშუალებანი, რომელსაც სალიკვიდაციო კომისია მოკლებულია. მომავალში კომისია ეცდება ყოველგვარი დაბრკოლება აიცდინოს, თუ პირობები და საშუალებები იქნა გაუმჯობესებული, კომისიას აზრადა აქვს ახლო მომავალში თვითონ გაეცნოს საქმის მდგომარეობას ადგილობრივად, გამართოს სპეციალური კურსები ლიკვიდატორების მოსამზადებლად და საერთოდ გააცხოველოს ამ დარგში მუშაობა ყოველგვარი ზომების მიღებით.

მაზრის კომისიის თავმჯდომარე მ. თათარიშვილი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 59.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა ვეტერინარ-ექიმთა და ფერშალთა მობილიზაციის შესახებ.

მთელს რესპუბლიკაში სავეტერინარო პერსონალის თანაბარი განაწილებისათვის საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. გამოცხადდეს მთელს რესპუბლიკაში ყველა ვეტერინარ-ექიმთა და ფერშალთა მობილიზაცია, იმისდა მიუხედავად, მსახურობენ იგინი საბჭოთა რომელსამე უწყებასა ან საზოგადო დაწესებულებაში, თუ აწარმოებენ კერძო პრაქტიკას.

2. ყველა დაწესებულება ვალდებულია აღმოუჩინოს ამ მობილიზაციით გაწვეულ პირთ ყოველგვარი კანონიერი დახმარება, თანაბრად საერთო მობილიზაციით გაწვეულებთან.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ფ. მახარაძე.
რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. სვანიძე.
1921 წ. აგვისტოს 3.
ტფილისი სასახლე.

დადგენილება

შრომის სახალხო კომისარიატისა რკინის-გზელთა რეგისტრაციის შესახებ.

განსავითარებლად და განმარტებისათვის საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის № 57 დადგენილებისა რკინის გზელთა სპეციალისტების რეგისტრაციის შესახებ, შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. მოხდეს დამატებითი აღრიცხვა როგორც ამ ჟამად სამსახურში მყოფ, ისე წინად ნამყოფ შემდეგ თანამდებობათა რკინის-გზის სპეციალისტებისა:

ა) ვაგონების და ორთქლმავალთა დამთვალიერებელნი,
ბ) ამწონნი,
გ) კოჩეგარი-ათისთავები,
დ) მატარებლის გამწესრიგებელნი,
ე) რკინის გზის გამცილებელნი,
ვ) ბაგაჟის დამრიგებელნი,
ზ) მენიხრუნი.
თ) მოძრაობის სტატისტიკის გამგენი.
ი) ვაგონების განმანაწილებელნი.
ია) მთავარი კონდუქტორები.
იბ) სამგზავრო მატარებლის რევიზორები.

2. აღრიცხვა როგორც ამ დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნულ, ისე საქართ. რევოლიუციონურ კომიტეტის № 57 დადგენილებაში აღნიშნულ რკინისგზელ სპეციალისტებისა წარმოება ამიერკავკასიის ს. ს. რესპუბლიკათა რკინის გზების გაერთიანებულ სამმართველოს სადმინისტრაციო ნაწილში.

3. ყველა დაწესებულება წარმოება, სადაც კი ამ ჟამად მსახურებენ რევკომის № 57 და ამა დადგენილებით გათვალისწინებული სპეციალისტები, მოვალეა ასეთ პირთა სია ორ ცალად წარუდგინოს შრომის სახალხო კომისარიატსა და რკინის გზათა გაერთიანებულ სამმართველოში შემდეგ ცნობათა აღნუსხვისათვის: ა) სახელი, მამის სახელი და გვარი, ბ) რა თანამდებობა უკავია ამ ჟამად, გ) რა თანამდებობა ჰქონდა რკინის გზაზე წინად სამსახურის დროს.

დ) რამდენი ხანი მსახურებდა რკინის გზაზე.

4. აღრიცხვის ვადა გრძელდება ხუთ დღეს ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან დაწყებული.

5. ყველა ის, ვინც დამალავს რკინის გზაზე თავის წინანდელ სამსახურს და აგრეთვე ამ დამალვას ხელს შეუწყობს, პასუხს აგებს რევოლიუციონურ დროის კანონთა მიხედვით.

შრომის სახალხო კომისრის მოადგილე არ. მიქაძე.
საქმ. მმართველი მ. ბეჟანიშვილი.

შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილება თანამდებობათა შეთავსების შესახებ № 3.

შრომის სახალხო კომისარიატის მიერ აპრილის 26 ს შეთავსების შესახებ გამოქვეყნებულ № 9 დადგენილების ცხოვრებაში გატარებისას ნამდვილ კონტროლის დაწესების მიზნით და სატარიფო საქმის შრომის განყოფილებათა, გამგებლობიდან გამოყოფის გამო შრომის სახალხო კომისარიატი საქართველოს საპროფესიო კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით ადგენს:

1) თანამდებობათა შეთავსების საკითხს არჩევს და ნებართვას იძლევა არსებულ კანონების მიხედვით მუშა ხელის აღრიცხვა განაწილების ცენტრალური განყოფილება და შრომის განყოფილებათა სათანადო ქვეგანყოფილებანი.

2) მუშა ხელის აღრიცხვა-განაწილების განყოფილებას და ქვეგანყოფილებათ ეკისრებათ ერთდროულად აწარმოონ რეგისტრაცია, შეთავსების აღრიცხვა და ბრძოლა უკანონო შეთავსებასთან.

3) შეთავსების აღრიცხვას ყოველგვარი მასალა, რაც კი საქართველოს საპროფესიო კავშირთა საბჭოსთან არსებულ ნორმის მოწესრიგების განყოფილებაში ინახება, უმოკლეს ხანში გადაეცეს მუშა ხელის აღრიცხვა-განაწილების ცენტრალურ განყოფილებას ან სათანადო ქვეგანყოფილებას.

4) შეთავსების დროის გასამრჯელოს საკითხებს საბოლოოდ არჩევს არსებულ წესების მიხედვით საქ. საპროფესიო კავშირთა საბჭოს ნორმის მოწესრიგების განყოფილება.

5) მუშა ხელის აღრიცხვა განაწილების ადგილობრივი ქვეგანყოფილებანი მათ მიერ შეთავსების შესახებ გარჩევის საქმეების თაობაზე, განკუთვნილი ფორმის თანახმად, დროგამოშვებით უდგენენ ანგარიშს შრომის სახალხო კომისარიატის ცენტრალურ განყოფილებას.

შრომის სახალხო კომისრის მოადგილე მიქაძე.
საქმეთა მართ. მ. ბეჟანიშვილი,

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.
— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.
— 1 ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი“ ტელ. 1—33.
— მე-2 რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.
— მე 3 მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.
— მე-4-ხე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—52
— მე 5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.
— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევს 2 საათამდის.

პროფესიონალური

იხსნება კურსები ასოთ-ამწყობებისათვის.

მიიღება მოწაფეთა სწარმოებს მბეჭდავთა კავშირის კულტგანყოფილებაში (მუშათა სასახლე ოთახი № 33 დილის 9-10 საათამდე), სადაც შეიძლება მიიღოთ ყოველგვარი ცნობებიც. ორივე ჯგუფში როგორც რუსულზე ისე ქართულზე მიიღებიან წერა კითხვის მცოდნენი 16-30 წლამდე. კურსანტები მიიღებენ ორმაგ ჯამაგირს, და ერთ გირვანქა პურს დღეში, გარდა ჩვეულებრივ მუშათა მაგიდის ნორმისა.

— განათლების და სოციალისტური კულტურის მუშათა კავშირის საორგანიზაციო ბიურო—სატარიფო მოწესრიგებელი განყოფილება აცხადებს, რომ 3 სექტემბერს ნაშუადღევს 12 ნახ. საათზე, სერგიევის ქუჩ. № 3. შესდგება საერთო ყრილობა პროფესიონალურ ტეხნიკუმ, სკოლების წარმომადგენლებისა, პროფესორებისა, დოცენტებისა, ლაბარანტებისა და სხ. უმაღლეს სასწავლებლების მასწავლებლებისა, მასწავლებლების შრომის და ნორმის საკითხების გამოსარკვევად.

პარტიული

— შაბათს, 3 სექტემბერს საღამოს 5 საათზე მიხა ცხაკაიას სახელობის კლუბში, თბ. კომიტეტთან არსებულ ქალთა განყოფილების მიერ და განათლების კომისარიატის თაოსნობით, დანიშნულია კომუნისტ ქალთა საერთო კრება. ყველას დასწრება სავალდებულოა.

სხვა და სხვა

— **სურამის რევკომი** ამით აცხადებს, რომ ქ. სურამში მდებარე სახლის პატრონი (მაისის ქუჩა № 86) მოვალეა გამოცხადდეს სურამის რევკომში დღიდგან ამ განცხადების გამოქვეყნებისა ერთი კვირის განმავლობაში. უკიდურეს შემთხვევაში სახლი აღიარებული იქნება უპატრონოთ და რევკომი მიიღებს თავის ზომებს.

სურამის რაირევკომის თავმჯდომარე კალატოზიშვილი.

— **დაკარგა:** 1) მოწმობა ხონის საოსტატო სემინარიაში კურსის დამთავრებისა, 2) მანდატი—მიღებული ახალგაზრდათა ცეკავშირის ცენტრალურ კომიტეტიდან, 3) მანდატი—მიღებული ხონის რაიონის ახალგ. კომკავშირის პასუხისმგებელ მდივნისაგან და 4) პირადობის მოწმობა—მიღებული განათლების სახალხო კომისარიატის ცენტრალურ საინსტრუქტორო ინსტიტუტიდან.

ყველა ზემოხსენებულ დოკუმენტებს ვაცხადებ გაუქმებულად.

ვარლამ ნადარეიშვილი.

— „მიხა ცხაკაიას“ სახელობის მუშათა კლუბის დროებითი მართველობა აცნობებს ყველა წევრებს, რომ პარასკევს 2 სექტემბერს საღ. 6 საათზე დანიშნულია საერთო კრება კლუბის ყველა წევრებისა „მიხა ცხაკაიას“ სახელობის მუშათა კლუბის ბინაში. ვერის დაღმართი № 1.

დღიური წეს—რიგი: 1) მოხსენება ამხ. პაკროვსკისა „პიროვნება და ბრბო“ 2) კლუბის გამგეობის არჩევა.

მბეჭდავთა კავშირის გამგეობა

ამით აცხადებს კავშირის წევრთა საყურადღებოთ, რომ 1 სექტემბრისათვის დანიშნულ სრულიად საქართველოს პოლიგრაფიულ წარმოების კონფერენცია გადადებულია და დანიშნული 15 სექტემბრისათვის 1921 წ. ვინაიდან გამგეობა ღებულობს პროვინციელ ამხანაგებიდან ცნობას, რომ მათ 1 სექტემბრისათვის ჩამოსვლა არ შეეძლებათ. გამგეობა.

სურსათზე მომუშავეთა პროფკავშირის პრეზიდიუმი ამით აცხადებს, რომ
11 სექტემბერს, ამა წლის,

შესდგება სრულიად საქართველოს სურსათზე მომუშავეთა პროფკავშირის ყრილობა

დღის წესრიგი: 1) მიმდინარე მომენტი და საბჭოთა აღმშენებლობა, 2) ანგარიში ცენტრალური გამგეობისა, 3) ანგარიში სარევიზიო კომისიისა, 4) მოხსენება ადგილებიდან, 5) ორგანიზაციული მიზანი კავშირისა, 6) მოხსენება ტარიფის შესახებ, 8) მოხსენება ს. მ. უ. საბჭოს სურსათის განყოფილებიდან, 8) მოხსენება პურის საცხობის განყოფილებიდან, 9) პროფკავშირის მონაწილეობა წარმოებაში, 10) კულტ. განყოფილების მოხსენება, 11) მუშათა მომარაგება, 12) არჩევნება ცენტრალური გამგეობისა, 13) არჩევნება სარევიზიო კომისიისა.

სურსათზე მომუშავეთა პროფკავშირის გამგეობა.